ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 39

"12" თებერვალი 2019 წ

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ვარკეთილი-3-ის დასახლების I მიკრო/რაიონში, მაგისტრალის დასაწყისის შუა ზოლში მდებარე 3123 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.19.20.001.138) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 118[1] მუხლის მე-5 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-5 მუხლის მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ვარკეთილი-3-ის დასახლების I მიკრორაიონში, მაგისტრალის დასაწყისის შუა ზოლში მდებარე 3123 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.20.001.138) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 30 იანვრის №19.86.126 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ვარკეთილი-3-ის დასახლების I მიკრო/რაიონში, მაგისტრალის დასაწყისის შუა ზოლში მდებარე 3123 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.19.20.001.138) გაცვლის ფორმით პრივატიზებაზე, რომიკა მაისურაძის (პ/ნ: 01013000897) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩაზე, №7 გამყოფ ზოლში მდებარე 3123 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.19.20.001.092) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე